დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 33 08
29/05/2020

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე და მე-6-ე პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 100 (ასი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი (1100 ლიტრიანი) საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 62750,00 (სამოცდაორიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე